პროექტი

საქართველოს კანონი

ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის (შემდგომ სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია) შექმნისა და მართვის სფეროში წარმოშობილ ძირითად სამართლებრივ ურთიერთობებს.

2. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისათვის მიკუთვნებული მიწის, წყლის და სხვა ბუნებრივი რესურსების, აგრეთვე ისტორიულ-კულტურული ძეგლების განკარგვასთან, დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით.

3. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ქონებრივი ურთიერთობები წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 2. კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. კანონის ძირითადი მიზნებია:

ა) სამუხის მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტერიტორიის შექმნა და ფუნქციური დაგეგმარება;

ბ) სამუხის მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტერიტორიის მართვის მექანიზმების მოწესრიგება;

გ) საქართველოს ტერიტორიაზე ქურციკის პოპულაციის აღდგენისა და მდგრადი პოპულაციის ჩამოყალიბებისთვის უწყვეტი მონიტორინგის უზრუნველყოფა;

დ) ფაუნის მრავალფეროვანი სახეობების (სარსარაკის, ბექობის არწივის, სვავის, ორბის და სხვა.) დაცვა და შენარჩუნება.

2. კანონის ძირითადი ამოცანებია:

ა) ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის დაცვა, აღდგენა და გონივრული გამოყენება;

ბ) სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ეკოტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და სამართლებრივი მექანიზმების ჩამოყალიბება;

გ) სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის საგანმანათლებლო და მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

მუხლი 3. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნა და მისი მიზნები

1. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია იქმნება საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველის - ქურციკის (*Gazella subgutturosa*) და მასთან დაკავშირებული ეკოსისტემის შენარჩუნებისთვის საჭირო პირობების დასაცავად.

2. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნის მიზნებია:

ა) ქურციკის (*Gazella subgutturosa*) პოპულაციის აღდგენა დაცვა და მოვლა;

ბ) სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე ბუნებრივი ეკოსისტემების, ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტების, ძეგლების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, განსაკუთრებით – საფრთხის წინაშე მყოფ მცენარეთა და ცხოველთა გენოფონდის დაცვის, აღდგენისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების უზრუნველყოფა;

გ) სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისთვის მიკუთვნებული წყლის ობიექტების ბუნებრივი ბიოეკოლოგიური რეჟიმის დაცვა და უწყვეტი მონიტორინგის განხორციელება;

3. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია იქმნება გარემოს დაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ორგანიზებული და განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული სამეურნეო საქმიანობისათვის და საქართველოს ტერიტორიაზე ქურციკის პოპულაციის აღდგენისათვის.

მუხლი 4. საქართველოს კანონმდებლობა სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნისა და მართვის სფეროში

საქართველოს კანონმდებლობა სამუხის მრავალმხრივი გამოყენების შექმნისა და მართვის სფეროში ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, ამ კანონსა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

მუხლი 5. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მდებარეობა, ფართობი და საზღვრები

1. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია წარმოადგენს ქვეყნის უკიდურესს სამხრეთ-აღმოსავლურ წერტილს, რადგან საქართველოს უკიდურესს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ივრის ქვედა დინებაში მდებარეობს. ელდარის დაბლობის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის სამხრეთი და აღმოსავლეთი საზღვრები თანხვედრაშია საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვართან, ხოლო ჩრდილოეთიდან პრაქტიკულად მთელ სიგრძეზე ესაზღვრება ვაშლოვანის ეროვნული პარკის საზღვარს.

2. დაცული ტერიტორია მოიცავს ზურმუხტის ქსელის სამუხის (GE0000061) ტერიტორიას და დედოფლისწყაროს გეგმარებით ბიოსფერულ რეზერვატს;

3. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 13 339.1 ჰექტარს.

4. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

ა)

N	X	Y	N	X	Y	N	X	Y
1	608370.0	4558983.6	18	610656.2	4562380.3	35	609203.7	4564387.2
2	608536.9	4559198.7	19	610533.2	4562580.1	36	609228.8	4564456.0
3	608529.0	4559427.6	20	610555.7	4562877.7	37	609189.1	4564436.1
4	608898.1	4559594.3	21	610357.3	4563039.1	38	609173.2	4564505.7
5	608888.8	4559878.7	22	610256.7	4563182.0	39	609104.8	4564537.3
6	608956.3	4560139.3	23	610120.5	4563344.7	40	609014.5	4564534.0
7	609084.6	4560282.2	24	609919.4	4563395.0	41	609027.7	4564560.5
8	609007.9	4560560.0	25	609797.7	4563592.1	42	609070.1	4564583.0
9	609047.6	4560745.2	26	609727.5	4563705.9	43	609046.2	4564584.3
10	608869.0	4560894.7	27	609588.6	4563839.5	44	609023.8	4564617.4
11	608850.4	4560995.2	28	609538.4	4563961.2	45	608977.4	4564628.0
12	608964.2	4561148.7	29	609497.4	4564077.6	46	608916.6	4564687.5
13	609228.8	4561110.3	30	609476.2	4564187.4	47	608916.6	4564720.6
14	609572.8	4561232.0	31	609361.1	4564163.6	48	608891.5	4564731.2
15	610340.1	4561714.9	32	609370.4	4564266.8	49	608883.5	4564747.0
16	610369.2	4561889.5	33	609297.6	4564322.4	50	608904.7	4564793.3
17	610607.3	4562154.1	34	609224.8	4564315.8	51	608869.0	4564794.7

ბ) სამუხის მრავალმხრივი ტერიტორიის საზღვარი მიუყვება ვაშლოვანის ეროვნული პარკის საზღვრებს - წერტილიდან, რომლის კოორდინატებია: X608825.2, Y4564841.3, წერტილამდე, რომლის კოორდინატებია: X613961.2, Y4563314.6, და წერტილიდან, რომლის კოორდინატებია: X614024.4, Y4563300.1, წერტილამდე, რომლის კოორდინატია: X628504, Y4550318.7.

გ) სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის საზღვარი მიუყვება საქართველოს სახელმწიფო საზღვარს - წერტილიდან, რომლის კოორდინატებია: X628504, Y4550318.7, წერტილამდე, რომლის კოორდინატებია: X607993.4, Y4559594.

მუხლი 6. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის ფუნქციონალური ორგანიზაცია

სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე აკრძალულია:

ა) ნადირობა;

ბ) წყლის უხერხემლოთა მოპოვება;

გ) ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სხვაგვარი სარგებლობა;

დ) სამუხის ისტორიულ-კულტურული ძეგლების ხელყოფა, დაზიანება ან განადგურება;

ე) სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმის მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობები.

მუხლი 7. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მართვის უფლებამოსილების მქონე ორგანოები

1. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიას მართავს დედოფლიწყაროს მუნიციპალიტეტი სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში, შესაბამისი ფინანსური რესურსების გამოყოფით.

2. ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და დაცული ტერიტორიების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მართვაში მონაწილეობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სათათბირო ორგანო - წარმომადგენლობითი ორგანო (საბჭო), რომელსაც ქმნის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. წარმომადგენლობითი ორგანოს (საბჭოს) შემადგენლობაში შედიან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ის, სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებებისა და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები.

5. წარმომადგენლობითი ორგანოს (საბჭოს) შემადგენლობა, უფლება-მოვალეობები და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა პროცედურული საკითხები განისაზღვრება ამ კანონითა და წარმომადგენლობითი ორგანოს (საბჭოს) წესდებით, რომელსაც ამტკიცებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. წარმომადგენლობითი ორგანო (საბჭო) შეიმუშავებს სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მართვასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს და წარუდგენს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას.

7. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - დაცული ტერიტორიების

სააგენტო, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მაკონტროლებელი უწყებები.

მუხლი 8. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2023 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი *სალომე ზურაბიშვილი*

განმარტებითი ბარათი

ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი;

კანონპროექტის მიღების მიზეზია ის გარემოება, რომ ელდარის დაბლობი წარმოადგენს მნიშვნელოვან ჰაბიტატს, სამიგრაციო, სანადირო, საკვებ და საბუდარ ტერიტორიას ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებული ფაუნის წარმომადგენლებისათვის. ვაშლოვანში გავრცელებული მტაცებელი ცხოველების და ფრინველების მრავალფეროვნება პირდაპირ კავშირშია ელდარის დაბლობის ტერიტორიასთან, რადგან ელდარის დაბლობი წარმოადგენს საკვების მნიშვნელოვან წყაროს და შესაბამისად ამ ტერიტორიას მათ ჰაბიტატში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. გარდა ამისა ელდარის დაბლობზე გავრცელებულია ისეთი სახეობები, რომლებიც თვითონ ვაშლოავანის ნაკრძალისა და ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არ გვხვდება. ელდარის დაბლობი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ჰაბიტატს ქურციკისთვის, რომელიც იდეალურად შეესაბამება მის დღევანდელ მდგომარეობას და პოპულაციის სრულფასოვნად აღდგენის დიდი პოტენციალი გააჩნია. იგი თავისი საზღვრისპირა მდებარეობით, რელიეფითა და ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი ბარიერებით წარმოადგენს იზოლირებულ ფართობს, სადაც მარტივადაა შესაძლებელი, როგორც პოპულაციის დამაგრება, ასევე მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. აღმოსავლეთ კავკასიაში ქურციკების პოპულაციის შემცირება გასული საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა – 1960–იან წლებში მათი რიცხოვნობა რამოდენიმე ათასიდან 200–მდე შემცირდა. ამის ძირითად მიზეზად დასახელდა როგორც ნადირობა, ასევე მიმდებარე ხეობების ინტენსიური ათვისება. აქედან გამომდინარე ქურციკების პოპულაციის აღდგენის პროცესში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, უშუალოდ მოსაზღვრე ტერიტორიებზე შესაბამისი კატეგორიით დაცული ჰაბიტატის არსებობას. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, გახის აღკვეთილი უშუალოდ ესაზღვრება ელდარის დაბლობს. ამიტომ ელდარის დაბლობის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის დაარსებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქურციკების მათს ისტორიულ არეალში რეინტროდუქციის პროცესში, **აზერბაიჯანთან**. ამ მხრივ საგულისხმოა აზერბაიჯანის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ, ჰეიდარ ალიევის ფონდთან, IDEA–თან, და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდთან (WWF) ერთად ინიცირებული პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ჯეირნების რეინტროდუქციას მათ ისტორიულ საარსებო არეალში. WWF–მა პროექტს გაუწია მეთოდოლოგიური და ტექნიკური დახმარება. პროექტი ოფიციალურად დაიწყო 2010 წელს. დღეისათვის, დაახლოებით 150 ქურციკია რეინტროდუცირებული 5 ტერიტორიაზე – აბშერონისა და აგგოლის ეროვნულ პარკებში, გობუსტანის პლატოზე, აჯინურისა და სარიჯას სტეპებში, და ბოძდაგის ქედზე. ყველაზე საინტერესოა ამ მხრივ აჯინური, რომელიც საქართველოსა და

აზერბაიჯანს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესაძლებლობას იძლევა. მარტო 2013 წლის ნოემბერში 10 ქურციკი იქნა შემოყვანილი ვაშლოვანის ეროვნულ პარკში. ამის შემდეგ, 2015-2018 წლებში, პროგრამის „ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნოს" (TJS-III) ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი და რომელიც დაფინანსებულია გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების სამინისტროს (BMZ) მიერ, KFW - ს რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის საშუალებით, 70 ქურციკი იქნა გადმოყვანილი აზერბაიჯანიდან და გაშვებული ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მიმდებარე ელდარის დაბლობზე.

TJS-ის (ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნო) პროგრამის ფარგლებში, WWF-ის კავკასიის პროგრამულ ოფისსა (WWF CauPO)-ს მიერ განხორციელდა ელდარის დაბლობზე არსებული სიტუაციაციის შესწავლა დაცული ტერიტორიების სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. კვლევის პერიოდში და ჩატარებული ყოველთვიური მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ქურციკების აღდგენის პროექტის განხორციელებას სერიოზულ საფრთხეს უქმნის ელდარის დაბლობზე გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა. სროლის ხმა აფრთხობს ქურციკებს, რაც მათ ქცევის შეცვლას იწვევს - გაშლილი ტერიტორიებიდან ინაცვლებს ტყე-ბუჩქნარიან ადგილებზე თავშესაფრის მოძებნისა და დამალვის მიზნით. შესაბამისად, ადვილი მოსანადირებელი ხდება მგელისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე 2019 წლის თებერვლიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სწორედ ქურციკების პოპულაციის რეინტროდუქციის პროგრამის წარმატებით განხორცილების მიზნით დროებით აკრძალა ელდარის დაბლობზე გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა.

პირველი სახელობითი დაცული ტერიტორიის შექმნა უკავშირდება ნუგზარ ზაზანაშვილის სახელის უკვდავყოფასა და საქართველოში დაცული ტერიტორიების დაარსებასა და განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილის დაფასებას. ნუგზარ ზაზანაშვილის ხელმძღვანელობით ქვეყანაში უამრავი დაცული ტერიტორია შეიქმნა, რამაც ხელი შეუწყო გადაშენების პირას მყოფი სახეობების საგრძნობელ ზრდას. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ქურციკების აღდგენის/რეინტროდუქციის პროექტსაც, რომელიც დღეს წარმატებით ხორციელდება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი კანონპროექტი მიზნად ისახავს ელდარის დაბლობზე მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის დაარსებას, რათა შესაძლებელი იყოს ქურციკების პოპულაციის აღდგენა და გამორჩეული კონსერვაციული ღირებულების მქონე ბიომრავალფეროვნების ფორმირება.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონპროექტის მიღება აუცილებელია სამართლებრივი დაცვის მექანიზმების უზრუნველყოფისა და სამუხის ველზე ქურციკების შემცირებული პოპულაციის აღდგენისთვის, მათი გავრცელების ისტორიულ არეალში. კანონის მიღების აუცილებლობას აგრეთვე, განაპირობებს, საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის

გრძელვადიანი თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს ქურციკის (*Gazella subgutturosa*) გადაშენებული პოპულაციის აღდგენის პროექტი საქართველოში.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად, ელდარის დაბლობის ნაწილს (13 339.1 ჰა) მიენიჭება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით განსაზღვრული მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის სტატუსი. აღნიშნულ ტერიტორიაზე კანონი ზღუდავს ნადირობას, წყლის უხერხემლოთა მოპოვებას, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სხვაგვარ სარგებლობას, რათა შესაძლებელი იყოს საქართველოს ტერიტორიაზე სიცოცხლის უნარიანი, სრულფასოვანი ქურციკებისა და სხვა ბიომრავალფეროვნების უნიკალური პოპულაციის აღდგენა და შენარჩუნება. კანონპროექტიდან გამომდინარე აღნიშნულ ტერიტორიის მართვას მოხდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ხოლო ნადირობის კონტროლს განახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მაკონტროლებელი უწყებები. კანონის დამტკიცების შედეგად, გაუმჯობესდება სამუხის ველზე არსებული ზურმუხტის ტერიტორიის (GE0000061) მართვა, განვითარდება ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა, შეიქმნება ჭაჭუნას აღკვეთილთან დამაკავშირებელი ეკოლოგიური დერეფანი, რომელიც წვლილს შეიტანს დაცული ტერიტორიების ქსელის ურთიერთდაკავშირებაში; კანონის დამტკიცება, აგრეთვე, ხელს შეუწყობს დედოფლისწყაროს გეგმარებითი ბიოსფერული რეზერვატის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში. სამუხის ველისთვის, მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტერიტორიის სტატუსის მინიჭება, წარმოადგენს კავკასიის ეკორეგიონის საკონსერვაციო გეგმის პრიორიტეტს.

აღსანიშნია, რომ კანონის საფუძველზე ქვეყანაში პირველად შეიქმნება ფუნქციონირებადი VI კატეგორიის დაცული ტერიტორია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხორციელდება ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის დაარსება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი შედგება 7 მუხლისგან. პირველი მუხლი განსაზღვრავს კანონმდებლობის კანონის რეგულირების სფეროს, მეორე მუხლით განისაზღვრება კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები, მესამე მუხლში მიმოხილულია საქართველოს კანონმდებლობა მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნასთან და მართვასთან დაკავშირებით, მეოთხე მუხლში წარმოდგენილია სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის სტატუსი, ფართობი და საზღვრები. მეხუთე მუხლით განისაზღვრება მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე დაშვებული და აკრძალული საქმიანობები, ხოლო მეექვსე მუხლში აღწერილია მართველობითი სტრუქტურა და სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოები. მე-7 მუხლით დადგენილია კანონის ძალაში შესვლის თარიღი (2022 წლის პირველი იანვარი).

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი შეესაბამება 2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამის („თავისუფლება სწრაფი განვითარება კეთილდღეობა“) 2.9.2 პუნქტით განსაზღვრულ მიზანს - „სახელმწიფო უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიების გაფართოებასა და ეკოტურიზმის ხელშეწყობას.“

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონს არ აქვს უკუძალა.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი).

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

2023 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ოდენობამ უნდა შეადგინოს **142 241** ლარი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის დაარსების შემდეგ, შესაბამისი მართვის ორგანოს სრულფასოვნად ამუშავების შემთხვევაში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი უნდა იქნას 169 661 ლარი საჭირო პერსონალით დაკომპლექტებისათვის და დაცვის სამსახურის აღჭურვილობისთვის. აღნიშნული თანხიდან 142 241 ლარი უნდა გამოიყოს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსათვის და 27 720 ლარი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს. შესაბამისად ბიუჯეტის მიერ გამოყოფილი თანხა სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს შორის გადანაწილდება შემდეგი პროპორციით (ცხრ. №1 და ცხრ. №3)

	ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია		
№	დასახელება	რაოდენობა	წლის ფონდი (ლარი)
1	შრომის ანაზღაურება:		

	• უბნის უფროსი რეინჯერი • რეინჯერი	1 4	12 000 43 200
	სახელფასო ფონდი		**55 200**
	სხვა საქონელი და მომსახურება (ზამთარ-ზაფხულის უნიფორმა, ზამთარ-ზაფხულის ფეხსაცმელი, ავტომაქანა, ცეცხლსასროლი იარაღი, სამკერდე კამერები და სხვა სპეციფიკური აღჭურვილობა)		**87 041**
	სულ		**142 241**

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის გამოსაყოფი თანხა 52 440 ლარი მთლიანად გამოყენებული უნდა იქნას შრომის ანაზღაურების მუხლში, რისთვისაც მათ მიერ აყვანილი უნდა იქნას 8 საშტატო ერთეული (ცხრ. №3)

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მართვას დაქვემდებარებული ტერიტორიის მართვისათვის საჭირო საშტატო ერთეული და დაფინანსება					
	თანამდებობა	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო	ხელფასი (თვე/ლარი)	ხელფასი (წლიურად/ ლარი)
1	განყოფილების უფროსი	1	1000	1000	12000
2	ტურიზმის სპეციალისტი	1	700	700	8400
5	ბუღალტერი	1	610	610	7320
6	**სულ**	6			27720

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით;

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა;

კანონპროექტი იქონიებს გავლენას იმ 8 პირის მიმართ, რომლებიც დასაქმდებიან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში ამ კანონით განსაზღვრული ტერიტორიის მართვისა და დაცვის მიზნით.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს. კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

კანონპროექტის მომზადების პროცესში ჩართული იყო ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის პროგრამის ოფისი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, ვაშლოვნის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია და გერმანიის მთავრობა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცული ტერიტორიების სააგენტო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.